გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

საქართველოს კანონში

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“

ცვლილებების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში ხდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის-საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხეველობის სამსახურის ჩამატება, რომლის მიერ მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, სანქციის სახით ჯარიმის დაკისრების შესახებ, აღსრულებას ექვემდებარება.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

საჯარო სამართლის იურიდიული პირის-საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხეველობის სამსახურის უფლებამოსლების განსაზღვრა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

„დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის 21^1-ე მუხლის სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური კანონით განსაზღვრული დარღვევების გამოვლენისას ახდენს შესაბამისი სანქციების დაკისრებას.

სანქციების ჩამონათვალიდან ერთ-ერთი სანქცია შეეხება სამსახურის მიერ ფულადი ჯარიმის დადებას, რომლის ოდენობა და შეფარდების წესი დადგენილია შესაბამისი კანონქვემდებარე ნორამტიული აქტით (საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2010 წლის 22 თებერვლის ბრძანება №23/01).

„დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის 21^1-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, მზღვეველისათვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დაკისრებული სანქციის

იძულებით აღსასრულებლად მიქცევა ხდება კანონიერ ძალაში შესული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისად გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლში ჩამოთვლილია აღსრულების ქვემდებარე აქტები, სადაც ეროვნული ბანკის მიერ მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი სანქციის სახით ჯარიმის დაკისრების შესახებ ექვემდებარება იძულებით აღსრულებას. სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, როგორც ერონული ბანკის სამართალმემკვიდრე, უფლებამოსილია სანქციის სახით დააკისროს მზღვეველებს ფულადი ჯარიმა, თუმცა ამგვარი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლის შემდგომ იძულებით აღსასრულებლად საჭიროა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონში შესაბამისი ცვლილების გატარება.

კერძოდ, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლს საჭიროა დაემატოს შემდეგი ჩანაწერი: **„საჯარო სამრთლის იურიდიული პირი – საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი სანქციის სახით ჯარიმის დაკისრების შესახებ".**

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი სახსრების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტს მიღება გავლენას არ ახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდაზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გამოიწვევს ზეგავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპრექტით მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება ზეგავლენას არ იქონიებს იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვის წესი (პრინციპი):

კანონპროექტით არ არის გათვალისწინებული გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრა.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება და იზიარებს ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებული ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

აღნიშნული პროფესიის წამყვანი სპეციალისტები.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტი განხილულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნულ ბიუროსთან.

ე) კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტის ავტორია პარლამენტის წევრი: დავით ონოფრიშვილი

ვ) კანონპროექტის ინიციატორი

კანონპროექტის ინიციატორია პარლამენტის წევრი: დავით ონოფრიშვილი